საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგის წინასწარი შედეგები

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

30 სექტემბერს Ď□□□□□□□□□□□ არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ □ და Ď□□□□□□□□□□□ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ □ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგის წინასწარი შედეგები გამოაქვეყნეს.

Ď□□□□□□□□□ ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგი □ ორგანიზაციებ ერთობლივი პროექტია, რომელიც საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობების შესწავლის მიზნით საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში ხორციელდება.

აღნიშნული პროექტის მიზანია საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების შესწავლა და საარჩევნო ადმინისტრაციისადმი რეკომენდაციების მიწოდება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების უკეთესი პრაქტიკის დამკვიდრებისა და მათდამი ნდობის ამაღლებისათვის. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიების სტატისტიკური კვლევა მთელი საქართველოს მასშტაბით შემთხვევითი და რეპრეზენტატული სტატისტიკური შერჩევით გამოვლენილ 396 საარჩევნო უბანზე.

ორგანიზაციების მონაცემებით, საუბნო საარჩევნო კომისიებში პირველი სხდომები დროულად ჩატარდა, ასევე დროულად მოხდა კომისიის თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და მდივნების არჩევა. საუბნო კომისიების უმეტესობაში დაცული იყო საარჩევნო სიების გამოკვრის (96,7%) და სიებთან დაკავშირებით საჩივრის შეტანის წესის (79,7%) გამოკვრის ვალდებულება.

კვლევის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 64,3%-ს ქალები, ხოლო 35,7%-ს მამაკაცები შეადგენენ. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების კვლევისას გამოვლინდა, რომ კომისიებში საოლქო კომისიების ქვოტით არჩეული წევრებიდან მხოლოდ 17,4% ფლობს საარჩევნო მოხელის სერტიფიკატს, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიების 47,5%-ში არის სეტიფიკატის მქონე ერთი წევრი მაინც. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ შესწავლილი საუბნო საარჩევნო კომისიების 4159 წევრიდან 83,3%-ს აქვს არჩევნებთან დაკავშირებული გამოცდილება.

Ď□□□□□□□□□□□□ არჩევნებმა □ და Ď□□□□□ □ გამოიკვლიეს საუბნო საარჩევნო კომისიებში მდივნების გადანაწილება პარტიების მიხედვით. 382 საუბნო კომისიის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კომისიებში მდივნების პოზიციაზე ძირითადად ევროპელი დემოკრატების, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისა და ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტიის მიერ დანიშნული წევრები არიან არჩეული:

„ევროპელი დემოკრატები“ – 35,9%
„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 25,7%
ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია - 18,6%
მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 6,5%
კონსერვატიული პარტია - 5,5%
ლეიბორისტული პარტია - 1,3%

სხვა ინფორმაციასთან ერთად, ორგანიზაციებმა საუბნო საარჩევნო კომისიების 12,6%-ში წევრებს შორის სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტის 52 ფაქტი გამოავლინეს. ამ ფაქტებს შორისაა ნათესაური კავშირისა და მუდმივ სამუშაო ადგილზე პირდაპირი და ირიბი სამსახურებრივი დაქვემდებარების ფაქტები.

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა 75 პირი, რომელთაც 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დაკისრებული ჰქონდათ დისციპლინარული პასუხისმგებლობა და 2012 წლის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კვლავ არჩეულ იქნენ საუბნო კომისიების შემადგენლობაში. მათგან, ყველაზე მეტი, 33 პირი აირჩა ხობის საარჩევნო ოლქში. ქუთაისის ოლქში კი საარჩევნო ადმინისტრაციაში დაინიშნა პასუხისმგებლობა-დაკისრებული 16 პირი.

ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ეს მონაცემები წინასწარ შედეგებს წარმოადგენს, ხოლო საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგის ვრცელ და დეტალურ ანალიზს Ţ□□□□□□□□□□□ არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება □ და Ţ□□□□□□□□□□□ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია □ პროექტის საბოლოო ანგარიშში 2012 წლის ოქტომბრის ბოლოს შეიტანენ.
პროექტის ფარგლებში ორგანიზაციები არჩევნების დღეს და მის შემდგომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მიერ ეთიკის კოდექსის შესრულების, ასევე საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობების დაკისრების მონიტორინგს განახორციელებენ.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მონიტორინგის პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) მიერ. პროექტს ერთობლივად ახორციელებენ Ţ□□□□□□□□□□□ არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება □ და Ţ□□□□□□□□□□□ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია □ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით.

იხილეთ თანდართული დოკუმენტი